ევროკავშირი
საქართველოსთვის

Project funded by the European Union

ტვინინგის პროექტის საინფორმაციო ბიულეტენი 2022 წლის ნოემბერი

საქართველოს სტანდარტებისა და ეროვნული სააგენტოს (GEOSTM) გაძლიერება საერთაშორისო/ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

Implemented in partnership with:
პროექტს ახორციელებს:

ტვინინგის საინფორმაციო ბიულეტენი

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული დაძმობილების (ტვინინგ) პროექტის "საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს (GEOSTM) გაძლიერება საერთაშორისო/ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად"(GE 18 ENI EC 05 21) კვარტალური საინფორმაციო ბიულეტენი/კვარტალური ანგარიში

ინფორმაცია პროექტის შესახებ

ტვინინგის პროექტი "საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს (GEOSTM) გაძლიერება საერთაშორისო/ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად" – არის პროგრამა, რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და ხორციელდება ევროკავშირის წევრი ქვეყნების, იტალიურ–ესპანური კონსორციუმის ხელმძღვანელობით, ასევე, სტანდარტიზაციის, აკრედიტაციისა და მეტროლოგიის სფეროებში, საჯარო ინსტიტუციებისა და ევროკავშირის კომპეტენტური ორგანოების ჩართულობით. იტალიური მხრიდან: ACCREDIA, INRiM-ი და UNI ხოლო ესპანური მხრიდან CEM-ი FIIAPP-ი და UNE. პროექტის ბიუჯეტი შეადგენს 1,400,000 ევროს. პროექტის ხანგრძლივობა 24 თვე.

პროექტის მიზანი

პროექტის კონკრეტული მიზანია საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს (GEOSTM) ინსტიტუციური და ადამიანური შესაძლებლობების შემდგომი გაძლიერება AA-დან და DCFTA-დან გამომდინარე მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად სამართლებრივი დაახლოების პროცესის, ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის ინსტიტუტების განვითარების გზით. ეს პროცესი წარიმართება GEOSTM-ის პრაქტიკისა და პროცედურების ევროკავშირთან მორგებით, ასევე ქსელის გაფართოებით მეტროლოგიისა და სტანდარტიზაციის სფეროში, განსაკუთრებული აქცენტით ევროპულ კვლევით პროგრამებზე (EMPIR).

სტანდარტებისა და მეტროლოგიის შესაძლებლობების გაძლიერება

მოსალოდნელი შედეგი

1/კომპონენტი 1: მეტროლოგიისა და სტანდარტიზაციის სფეროებში საქართველოს საკანონმდებლო ბაზის დაახლოება ევროკავშირის შესაბამის რეგულაციებთან/ დირექტივებთან (MID 2014/32/EU; NAWI 2014/31/EU and 80/181/EEC)

2/კომპონენტი 2: მეტროლოგიის სფეროში კომპანიებისთვის, ლაბორატორიებისთვის, მარეგულირებელი ორგანოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის GEOSTM-ის სერვისების გაზრდა, განსაკუთრებით EN ISO/IEC 17025:2017 და EN ISO 17034:2016 შესაბამისად.

3/კომპონენტი 3: სტანდარტიზაციის სფეროში GEOSTM-ის შესაძლებლობების განვითარება DCFTA-ის მოთხოვნების შესასრულებლად და სტანდარტიზაციის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გაზრდა.

4/კომპონენტი 4: GEOSTM-ის ჩართულობის გაზრდა საერთაშორისო/რეგიონულ მეტროლოგიისა და სტანდარტიზაციის ორგანიზაციებში და R&D შესაძლებლობების გაძლიერება მეტროლოგიის სფეროში ევროპულ პროგრამებში ინტეგრაციის გზით.

მმართველი კომიტეტის სხდომა N°1

მმართველი კომიტეტის პირველი სხდომა /პროექტის საბჭოს პირველი სხდომა გაიმართა 2022 წლის 12 აპრილს. შეხვედრაზე წარმოდგენილი იქნა საერთო ბიუჯეტი და საწყისი სამუშაო გეგმა. მოწოდებული იქნა ინფორმაცია მომავალი ექვსი თვის განმავლობაში დაგეგმილი და უკვე განხორციელებული აქტივობების შესახებ. ასევე წარმოდგენილი იყო პროექტის ცნობადობის ამაღლების და კომუნიკაციის გეგმა.

"მმართველი კომიტეტის რიგით პირველი სხდომა, 2022 წლის აპრილი"

ტვინინგის პროექტის პირველი ნაბიჯები

გახსნითი კონფერენცია

"პროექტის გახსნის კონფერენცია გაიმართა სასტუმრო Radisson Blu Iveria-ში, თბილისში, 2022 წლის 13 აპრილს.ღონისძიებამ აღნიშნა დაძმობილების დასაწყისი და მიზნად ისახავდა საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის სისტემასთან დაკავშირებული ხარისხის ეფექტური პოლიტიკის ხელშეწყობას, რათა გაუმჯობესდეს არსებული ვითარება საქართველოს მოსახლეობის სასარგებლოდ. შეხვედრას უძღვებოდა/მართავდა GEOSTM-ის გენერალური დირექტორი, ბ-ნი დავით ტყემალაძე. კონფერენცია გახსნეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ, ბ-მა გენადი არველაძემ, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის თანამშრომლობის ხელმძღვანელმა, ქ-მა სიგრიდ ბრეტელმა, იტალიის ელჩმა საქართველოში ჰ.ე. ბ-მა ენრიკო ვალვომ, გენერალურ დირექტორმა ევროპასთან ინტეგრაციის საკითხებში წევრ ქვეყნებთან ერთად, ბ-მა ირაკლი ყურაშვილმა."

მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვეს იტალიის ეროვნული მეტროლოგიის ინსტიტუტის INRIM-ის პრეზიდენტმა - პროფესორმა დიდერიკმა. ს. ვიერსმა, იტალიის, აკრედიტაციის ორგანოს გენერალური დირექტორმა - ACCREDIA, ბ-ნი. ფილიპო ტრიფილეტიმ, იტალიის სტანდარტიზაციის ორგანოს გენერალური დირექტორმა - UNI, ბ-მა. რუჯერო ღენსიმ, ესპანეთის სტანდარტიზაციის ასოციაციის გენერალურმა დირექტორმა, UNE - ბ-მა ხავიერ გარსიამ, გუნდის ლიდერმა გარემოს დაცვისა და ეკონომიკური განვითარების დეპარტამენტში, FIIAPP - ბ-მა აღეხანდრო ბუენომ, ACCREDIA-სა და INRIM-ის დირექტორთა საბჭოს წევრმა, ბ-მა ვიტო ფერნიკოლამ და ასევე UNE-ს თანამშრომლობისა და საერთაშორისო ურთიერთობების დირექტორმა - წევრი ქვეყნის (MS) უმცროსი პროექტის ხელმძღვანელმა - ქ-მა მონიკა სანცომ. მოწვეული სტუმრები იყვნენ საქართველოს ხარისხის ინფრასტრუქტურის წარმომადგენლები, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული სხვა დაძმობილების (ტვინინგ) პროექტები და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

Genadi Arveladze, MOESD

Nino Mikanadze, GEOSTM

Filippo Trifiletti, ACCREDIA

Giulia Suriani, RTA

სემინარი სათამაშოების უსაფრთხოების დირექტივის შესახებ

"2022 წლის 22 სექტემბერს სასტუმრო Tbilisi Holiday Inn-ში ჩატარდა სემინარი სათამაშოების უსაფრთხოების დირექტივის შესახებ (2009/48/EC) და მასთან დაკავშირებული ჰარმონიზებული სტანდარტების შესახებ (ხაზი გაესვა დირექტივასთან დაკავშირებულ ჰარმონიზებულ სტანდარტებს) , რათა პროექტს გაეფართოებინა დაინტერესებული მხარეების სპექტრი.სემინარზე წარმოდგენილი იყო სათამაშოების უსაფრთხოების დირექტივა (2009/48/EC), ასევე ინფორმაცია:"

1. **მექანიკური და ფიზიკური თვისებების სტანდარტზე** (EN71 ნაწილი 1)
2. **ააღებად სტანდარტზე** (EN71 ნაწილი 2)
3. **გარკვეული ელემენტების მიგრაციის სტანდარტზე** (EN71 ნაწილი 3)

ნაჩვენები იქნა რამდენიმე სურათი სათამაშოების სატესტო აღჭურვილობისა და საცდელი მდგომარეობის შესახებ.ტრენინგის მიზნები იქნა მიღწეული; აუდიტორია, 35 ძირითადი დაინტერესებული მხარე, აქტიურად მონაწილეობდა. მონაწილეებმა გამოიჩინეს ინტერესი განხილული არგუმენტების მიმართ, აქედან გამომდინარე კითხვა-პასუხის შუადღის სესია წარმატებულად ჩატარდა.

Igor Gallo, ACCREDIA - Sulkhan Tabagua, GEOSTM - Nikoloz Pilpani, LEPL Market Surveillance Agency

მმართველი კომიტეტის სხდომა N°2

"შეხვედრა გახსნა ბ-ნმა ვიტო ფერნიკოღამ, წევრი ქვეყნის (MS) პროექტის ღიდერმა, ACCREDIA, რომელმაც მიესალმა ყველა მონაწილეს და ხაზი გაუსვა ნაყოფიერ თანამშრომლობას ყველა ჩართულ მხარეს შორის.შეხვედრა გაგრძელდა ქ-ნი გიულიას სურიანის, პროექტის RTAს, პრეზენტაციით, სადაც წარმოდგენილი იყო თითოეული კომპონენტის დასრულებული აქტივობების ძირითადი პუნქტები, ასევე როგორც მომავალი მისიები.ასევე ხაზგასმით აღინიშნა, რომ მე-4 კომპონენტის ფარგლებში პროექტი ხელს შეუწყობს GEOSTM-ის მონაწილეობას წონისა და ზომების გენერალური კონფერენციის 27-ე შეხვედრაზე - Palais des Congrès de Versailles, Versailles (საფრანგეთი), რომელიც ჩატარდება 2022 წლის ნოემბერში. ეს მონაწილეობა სტრატეგიულია GEOSTM-ისთვის, განსაკუთრებით ამ ეტაპზე, როდესაც GEOSTM გეგმავს EURAMET-ში გაწევრიანებას. ბ-ნმა ფერნიკოღამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ INRIM-მი და CEM-მი მხარს უჭერს GEOSTM-ის წევრობას EURAMET-ში - ორივე ინსტიტუტის მიერ ხელმოწერილი მოწონების წერილების მომზადებით."

ტვინინგის პროექტის გუნდი

პროექტის გუნდი

პროექტის ხელმძღვანელი ბენეფიციარი ქვეყნის მხრიდან
ქ-ნი მარიამ გაბუნია
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
ელ-ფოსტა: mgabunia@moesd.gov.ge

პროექტის ხელმძღვანელი EU ნევრის სახელმწიფოს მხრიდან
ბ-ნი ვიტო ფერნიკოლა
Accredia-ს და INRiM-ს დირექტორთა საბჭოს წევრი
ელ-ფოსტა: v.fernicola@accredia.it

პროექტის მუდმივი მრჩეველი - RTA
ქ-ნი ჯულია სურიანი
Accredia - იტალიური აკრედიტაციის ორგანო
ელ-ფოსტა: g.suriani@accredia.itg.suriani

პროექტის RTA-ს პარტნიორი ბენეფიციარი ქვეყნის მხრიდან
ქ-ნი ნინო მიქანაძე
მეტროლოგიის ინსტიტუტის დირექტორი
საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო - GEOSTM
ელ-ფოსტა: nino_mikanadze@yahoo.com

პროექტის კონტაქტები

ტვინინგის პროექტი

ბ-ნი ჯორდანო ანგელე
პროექტის ხელმძღვანელი მენეჯერი
Accredia - იტალიის აკრედიტაციის ორგანო
ელ-ფოსტა: g.angle@accredia.it

ქ-ნი თამარ სულავა
RTA -ს ასისტენტი
E-mail: t.sulava@accredia.it

ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში

ქ-ნი მინდი ბოჯკოვა
ატაშე - პროგრამების ოფიცერი, კერძო სექტორის განვითარება, ვაჭრობის ხელშეწყობა
ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში
ელ-ფოსტა: mindy.bojkova@eeas.europa.eu

ევროკავშირი
საქართველოსთვის

Project funded by the European Union

მეტროლოგიის ინსტიტუტის დირექტორი
საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო GEOSTM
ჩარგლის ქუჩა 67,0178 თბილისი.საქართველო
Tel/Fax: (+ 995 32) 261 35 00
E mail: geostm@geostm.ge
Website: www.geostm.ge

წინამდებარე სალიტერატურო ბიულეტენი შეფასებულია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული „ბოლონიის დოკუმენტების/ტექსტების“. „ბოლონია“ და შესაბამისი, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.